ევროკავშირი
საქართველოსთვის

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

ერთიანი საქართველო ევროპისთვის



EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

IJH
INDEPENDENT JOURNALISTS' HOUSE
დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლი

ერთიანი საქართველო ევროპისთვის

ხანგრძლივობა: 33 თვე

ჯამური ბიუჯეტი: 3,099,837.08 ევრო

განმახორციელებელი პარტნიორები: კონრად ადენაუერის ფონდი (KAS), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF), თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი (IJH)

რეგიონული დაფარვა: საქართველოს მასშტაბით

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობას საზოგადოების ფართო ჩართულობითა და თანამშრომლობით; ქვეყანაში დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდების, მედიის, ბიზნესის, ახალგაზრდა ადვოკატების, და აქტივისტების სამართლებრივ მხარდაჭერასა და გაძლიერებას; სამეცნიერო კვლევებისა და საზოგადოებრივი დიალოგის ინიცირებას; საქართველოს საზოგადოებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების ზრდას.

ვის ეხება პროექტი

საზოგადოება - საზოგადოების წარმომადგენლებს, საქართველოს ყველა კუთხიდან მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი წვლილი შეიტანონ საქართველოს ევროპასთან დაახლოებაში, გაუზიარონ ხედვა ერთმანეთს, გაერთიანდნენ და გააგონონ საკუთარი ხმა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საქართველოსა და ევროკავშირში; საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრები მოქალაქეები მიიღებენ ინფორმაციას ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ სანდო და მიუკერძოებელი აქტორებისგან, ინოვაციური და ინტერაქტიული გზებით.

ახალგაზრდები - სკოლის მოსწავლეები და მომავალი ლიდერები შეძლებენ გაიგონ მეტი ევროპული შესაძლებლობებისა და ღირებულებების შესახებ, ჩაერთონ საზაფხულო სკოლებში და ფრთები შეასხან საკუთარ იდეებს ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით; შეიძინონ და გაიძლიერონ ლიდერობის უნარები.

მედია - კოალიციის შექმნისა და აქტიური მედია კამპანიის გზით, ჩაერთვება ევროპული ღირებულებების დაცვისა და განმარტების, ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე არსებული წინაღობების გამოვლენის, მნიშვნელოვანი თემების ინიცირებისას და დისკუსიების პროცესში;

კრეატიული ინდუსტრიის წარმომადგენლები - შეძლებენ საკუთარი შემოქმედებითი ხედვები ჩააყენონ ქვეყნის ევროინტეგრაციის სამსახურში, მიიღონ მონაწილეობა დიალოგის პროცესში და შექმნან მასთან დაკავშირებული პროდუქტები;

სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნეს-ორგანიზაციები - ჩაერთვებიან დიალოგში, შეძლებენ განახორციელონ ევროინტეგრაციის ხელშემწყობი ინიციატივები პროექტის მხარდაჭერით;

ბიზნესი - შეძლებს გაუზიაროს ერთმანეთს და საზოგადოებას ევროკავშირის ბაზართან ინტეგრირების გამოცდილება, გახდეს ქვეყნის ევროინტეგრაციის აქტიური შემოქმედი;

ადვოკატები - საქართველოს მასშტაბით მოქმედი ახალგაზრდა იურისტები მიიღებენ შესაძლებლობას გახდნენ სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატები, შეიძინონ ცოდნა, უნარები და სასამართლო პრაქტიკა, დაეხმარონ საქართველოში სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დაცვას, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას;

აქტივისტები, ადამიანები, ვისაც სჭირდება დაცვა და სასამართლოში წარმომადგენლობა მათი სამოქალაქო აქტივიზმის გზაზე შექმნილი პრობლემების გამო, მიიღებენ უფასო იურიდიულ დახმარებას და საზოგადოებრივ მხარდაჭერას;

მკვლევარები - აწარმოებენ ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის საჭირო ნაბიჯების მონიტორინგს, ფაქტებზე დაფუძნებული კვლევებით ჩაერთვებიან დისკუსიაში და კომუნიკაციაში საზოგადოება და ხელისუფლებასთან;

ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება, საერთაშორისო საზოგადოება, აკადემია - მიიღებენ ხარისხიან, კონსტრუქციულ და სანდო წყაროებზე დაფუძნებულ დასკვნებს, რეკომენდაციებს დიალოგისთვის, გაერთიანდებიან ამ მიზნით შექმნილ სადისკუსიო პლატფორმაზე და საერთაშორისო კონფერენციაზე შეძლებენ განიხილონ ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები. შეიძენენ მეტ ღირებულებით პარტნიორს ქვეყნის შიგნით და გარეთ, კონსტიტუციაში განსაზღვრული მიზნის, ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე.

პროექტის აქტივობები

- დამოუკიდებელი მონიტორინგი და შესაბამისი ანალიტიკური მოხსენებების მომზადება სახელმწიფო და ევროპულ პოლიტიკაზე საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მხარდასაჭერად;
- ექსპერტთა დისკუსიები და დებატები ევროპულ ინტეგრაციაზე - ევროპის კვლევითი და სამეცნიერო ცენტრების მონაწილეობით; საგანგებოდ შექმნილი კერძო და საჯარო სექტორების თემატური სამუშაო ჯგუფების ჩართულობით;

- მაღალი დონის კონფერენცია საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე - ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფის (სამოქალაქო საზოგადოება, მედია, კერძო სექტორი, გადაწყვეტილების მიმღებები, საერთაშორისო პარტნიორები) ერთმანეთთან დაკავშირება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დასაჩქარებლად;

- კოალიციების და ქსელების შექმნა; „ევროპული ინტეგრაციის რეგიონული სამოქალაქო საბჭოების“ და „ევროპული ინტეგრაციის მედია კოალიციის ჩამოყალიბება“ ;

- ევროპული ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება; თემატური ტრეინინგები (ToT) მედიისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და სამოქალაქო აქტივისტებისთვის;

- ფინანსური მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, პრიორიტეტით ადგილობრივ ორგანიზაციებზე, პროექტებისთვის, რომლებიც საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს ახალისებენ და ხელს უწყობენ;

- იურიდიული დახმარების რეგიონული ბიუროების გახსნა არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის იურიდიული დახმარების გასაწევად;

- ევროპული ახალგაზრდული ბანაკები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდებისთვის;

- „ჩვენი ევროპული გზა“ კონკურსი ახალგაზრდული ბანაკების მონაწილეებისთვის;

- საზოგადოებასთან მედია კომუნიკაცია - მედია პროდუქტების მომზადება კრეატიული სააგენტოების, მარკეტინგული და საკომუნიკაციო კომპანიების ჩართულობით;

- ევროკავშირის საინფორმაციო ტური რეგიონებში და კარდაკარის კამპანია საქართველოს გარშემო;

პროექტის შედეგად:

- შეიქმნება 8 სამეცნიერო პუბლიკაცია და მულტიმედია პროდუქტები სახელმწიფო და ევროპულ პოლიტიკაზე საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდაჭერის კონტექსტში.

- ჩატარდება ორი მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია (400-მდე მონაწილე) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის კავშირების განსამტკიცებლად, პარტნიორთა მუშაობის საინფორმაციო მხარდაჭერისთვის და ევროინტეგრაციის პროცესზე ცნობიერების ამაღლებისთვის, თბილისსა და ბათუმში.

- 10 რეგიონის „ევროპული ინტეგრაციის რეგიონული სამოქალაქო საბჭოების“ 150 წევრი მოამზადებს „ევროპული ინტეგრაციის სამოქალაქო ხედვის დოკუმენტს“, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონული საჭიროებების ანალიზს და საზოგადოების როლს საქართველოს ევროინტეგრაციის კონტექსტში.

- ევროპული ინტეგრაციის რეგიონული მედიის კოალიცია შეიმუშავებს რეგიონული კომუნიკაციის სტრატეგიას. საერთო მიზნის გარშემო გაერთიანდება 3 ეროვნული და 6 რეგიონული მედია საშუალება. ექსკლუზიურად პროექტისთვის შეიქმნება 540 მედია პროდუქტი, რომელიც 4 ენაზე გავრცელდება.

- საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში ჩართული ახალგაზრდა ლიდერების, იურისტების, სამოქალაქო ორგანიზაციების, მედიისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების მიზნით ჩატარდება 10 ორდღიანი ტრენინგი.

- შეიქმნება „იურიდიული დახმარების რეგიონული საბჭოები“, რომლებიც თავს მოუყრის 30 იურისტს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის დაუყოვნებელი იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის გაწევისთვის.

- საინფორმაციო გაკვეთილები ჩატარდება 260 სკოლაში 6600 მოსწავლისთვის. მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ 10 ახალგაზრდულ ბანაკში. 500 ახალგაზრდა ჩამოაყალიბებს 125 გუნდს, რომლებიც შეიმუშავებენ მათი შეხედულებით მნიშვნელოვან იდეებს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დასაჩქარებლად, რომელთაგანაც 10 იდეის განხორციელება მხარდაჭერილი იქნება პროექტის მიერ.

- 30-მდე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია შეძლებს მიიღოს დაფინანსება ევროინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობებისა და პროექტებისთვის.

- კრეატიული სააგენტოების, მარკეტინგისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტები გაერთიანდებიან და შექმნიან მულტიმედია პროდუქტებს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის თემაზე.

- ჩატარდება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდამჭერი კამპანია - საქართველოს 10 რეგიონში, 50 მუნიციპალიტეტში 5500 მოქალაქესთან პირისპირ შეხვედრა.

პროექტის მთავარი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, აკადემიური წრეების, კვლევითი ცენტრებისა და დამოუკიდებელი მედიის შესაძლებლობების საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად გაძლიერებაა, რაც ეროვნული კოალიციების შექმნის და პროცესში საზოგადოების უკეთესი ჩართულობითაა უზრუნველყოფილი.

მიზანი 1: კვლევის, მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებით სახელმწიფო, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე დიალოგისა და პოლიტიკის ანალიზის ხელშეწყობა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის.

მიზანი 2: სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, კვლევითი ცენტრების და დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება და მედეგობის გაუმჯობესება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდასაჭერად

მიზანი 3: დიალოგი ფართო საზოგადოებასთან, ცნობიერების ამაღლება და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ევროინტეგრაციის პროცესში

შედეგი 1: ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის მხარდაჭერა სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე კერძო-საჯარო პარტნიორობის სამუშაო ჯგუფების მონაწილეობით

შედეგი 2: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბიზნესის სექტორის, კვლევითი ცენტრების და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები გაერთიანებულნი არიან ძლიერ ქსელში და აქტიურად მონაწილეობენ ევროპული ინტეგრაციის პროცესში .

შედეგი 3: საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისა და უმცირესობების, მაქსიმალური ჩართულობა ევროპული ინტეგრაციის პროცესში